# საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

**Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia**


KA030122825857421


საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge


**№ 01/4629** **31 / მარტი / 2021 წ.**

გაერთიანებული ერების მუდმივი
კოორდინატორის (UNCT) წარმომადგენლობას
საქართველოში

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 5 მარტს გამოიცა საქართველოს მთავრობის N 292 განკარგულება იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2021-2022 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს მთავრობის ზემოხსენებული განკარგულების შესაბამისად, სამოქმედო გეგმის საერთო კოორდინაციას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობის დამტკიცებასთან დაკავშირებით უნდა გამოიცეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2021 – 2022 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრისა და საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე.

როგორც მოგეხსენებათ, თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენლობა გასულ პერიოდში ჩართული იყო სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის პროცესში.

ახალი ბრძანების მომზადების მიზნით გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ გაერთიანებული ერების მუდმივი კოორდინატორის (UNCT) კანდიდატურა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობაზე.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია